ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3261537

ნომერი: AR1462366

თარიღი : 10.04.2017

გაცემის თარიღი : 16.05.2017

გაცნობის თარიღი : 16.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რჩეულიშვილი , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მინდია გოგოჭური პ/ნ 01017035899
- თბილისი მ.ლერმონტოვის ქ. N 21ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანების ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 10 აპრილის №AR1462366 განაცხადით მომართა მინდია გოგოჭურმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული

დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რჩეულიშვილის ქუჩა №11-ში მოქალაქეების: მოარინა ჩოფიკაშვილის, ნათელა ჩოფიკაშვილის და ქსენია ჩოფიკაშვილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. დამკვეთად დაფიქსირდნენ: მარინა ჩოფიკაშვილი, ნათელა ჩოფიკაშვილი და ქსენია ჩოფიკაშვილი.
წარმოდგენილი განაცხადით, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას. "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს მინდია გოგოჭურის 2017 წლის 10 აპრილის №AR1462366 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 31 ივნისის №20/455 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.